

საქართველოს კანონი

“საკარანტინო მომსახურების მოსაკრებლის შესახებ” საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. “საკარანტინო მომსახურების მოსაკრებლის შესახებ” საქართველოს კანონის (სსმ, 2003 წ., №14, მუხ, 95) მე-8¹ მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“მუხლი 8¹. შეღავათები საკარანტინო მომსახურების მოსაკრებლის გადახდაზე ფიზიკური და იურიდიული პირები თავისუფლდებიან საკარანტინო მომსახურების მოსაკრებლისაგან, თუ საქართველოს საზღვრებზე, საზღვაო ნავსადგურებში, აეროპორტებში, სახმელეთო გასასვლელებში და საბაჟო გამშვები პუნქტის ტერიტორიაზე სახელმწიფო ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო ღონისძიებების კონტროლს მცენარეთა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციისა და ეპიზოოტიის საერთაშორისო ბიუროს მიერ დადგენილი წესებისა და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ განსაზღვრული პოლიტიკის საფუძველზე ახორციელებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახური.”

მუხლი 2. კანონი ამოქმედდეს 2007 წლის 1 იანვრიდან.